30 აგვისტო 2019 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ქ-ნ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

ამ წერილით მსურს გაგეცნოთ და ამასთანავე გაცნობოთ რომ გლობალური ჯანდაცვის სისტემები (Health Systems Global **HSG**) არის შვეიცარიაში რეგისტრირებული გლობალური პროფესიული ასოციაცია იმ ადამიანების, რომლებიც ჯანდაცვის სისტემების და პოლიტიკის კვლევის საკითხებზე მუშაობენ.

ჯანდაცვის სისტემების კვლევა და ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებისას მოპოვებული მეცნიერული მტკიცებულებების აქტიური გამოყენება ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. დღეისთვის გლობალური ჯანდაცვის სისტემები აერთიანებს რამოდენიმე ათას ადამიანს მსოფლიოს 120-ზე მეტი ქვეყნიდან და 2015 წლიდან მოყოლებული საერთაშორისო ფონდი კურაციო ამ ორგანიზაციას საქართველოდან მართავს. ამ წლების მანძილზე 2016 წელს ვანკუვერში, კანადა და 2018 წელს ლივერპულში, გაერთიანებული სამეფო, ჩატარდა ჯანდაცვის სისტემების კვლევის მე-5 და მე-6 გლობალური სიმპოზიუმი და თითოეულს მთელი მსოფლიოდან 2,200-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. 2020 წლის 8-12 ნოემბერს კი მე-7 გლობალური კონფერენცია დუბაიში ჩატარდება, სადაც მსურს რომ მოგიწვიოთ.

გამომდინარე ჩვენი ორგანიზაციის მისიიდან გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიის ფარგლებში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის სპონსორობით, ვაწყობთ შეხვედრას სათაურით "**Universal Health Coverage – Unattainable Without Evidence**", რომელიც 26 სექტემბერს 10:00-12:00 ჩატარდება გაეროს საკონფერენციო შენობის "A" დარბაზში.

გამომდინარე იქიდან რომ ამ შეხვედრის სპონსორია საქართველო და ვსარგებლობთ რა შემთხვევით რომ საქართველოს დელეგაცია ამ პერიოდში ნიუ ორკში იქნება, გვსურს მოგიწვიოთ ამ შეხვედრაზე და ამასთანავე გთხოვოთ დახმარება რომ ეს შეხვედრა თქვენ, როგორც სპონსორი და მასპინძელი ქვეყნის ჯანდაცვის დარგის ხელმძღვანელმა ოფიციალურად გახსნათ.

შეხვედრის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ამ წერილს თან ვურთავთ და საჭიროების შემთხვევაში მზად ვართ მოგაწოდოთ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია შეხვედრის შესახებ.

წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ამ თხოვნის გათვალისწინებისთვის.

პატივისცემით,

გიორგი გოცაძე
აღმასრულებელი დირექტორი

ასლი: ბ-ნ კახა იმნაძეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს

ბ-ნ აკაკი ზოიძეს, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარეს

Universal Health Coverage – Unattainable Without Evidence

Sponsored by the Permanent Mission of the Government of Georgia to the UN

26th September 2019

10am to 12pm

Conference Room A, UN Conference Building, New York

Description:

On 23rd September 2019, the UN High-Level Meeting on 'Universal Health Coverage: Moving Together to Build a Healthier World' will be a major global moment to mobilise the highest political support for the achievement of 'health for all'.

To help translate this political commitment into transformative action, this side event on 26th September will highlight the critical need for governments to recognize that the production and use of research evidence are a foundation of the strong health systems required to achieve UHC, and to navigate and respond to the threats and challenges facing health systems and societies.

Panellists will call upon governments, UN leaders and partners to support and invest more in research to inform the design, implementation and evaluation of policies and programs to improve health and wellbeing, and to prioritise strategies that are grounded in evidence of what works in different contexts.

UN member state delegations, UN system professionals, and development partners are warmly invited to attend. Please RSVP to HSGatUNGA74@gmail.com.

Objectives:

- Demonstrate the crucial contributions of health policy and systems research to developing strong and equitable health systems, which are essential for achieving health for all.
- Call on UN member states and UN system entities to strengthen their commitments and subsequent actions to supporting and investing in health policy and systems research as an essential dimension of the implementation of the UHC Political Declaration.

Panellists:

- Introduction by a representative of the Government of Georgia (TBC)
- Professor Irene Akua Agyepong, Public Health Physician and former Regional Director of Health Services for Greater Accra, Ghana (Confirmed)
- Dr Stefan Swartling Peterson, Associate Director, Health Section, Programme Division, UNICEF (TBC)
- Dr Cristian Herrera, Faculty of Medicine, Pontificia Universidad Catolica de Chile (TBC)
- Facilitated by Professor Sara Bennett, Director, Health Systems Program, Johns Hopkins Bloomberg School of Public Health, USA, and Board Member of Health Systems Global (Confirmed)